

## შეთანხმება

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ენერჯიას“ შორის 2011 წლის 17 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

2 თებერვალი, 2015.

საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ,

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძის მიერ, და

შპს „ენერჯია“ (შემდგომში „კომპანია“) ს/კ: 401950037, წარმოდგენილი მისი დირექტორის გაიოზ უგრელიძის (პ/ნ 01010004138) მიერ,


დებენ წინამდებარე შეთანხმებას მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და კომპანიას შორის 2011 წლის 17 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმში (შემდგომში „მემორანდუმი“) ცვლილების შეტანის თაობაზე:

1. შეიცვალოს მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.4 პუნქტის პრეამბულა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:


„3.4 კომპანია ვალდებულია წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში აშენებული ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯიის სრული ოდენობის რეალიზაცია განახორციელოს „ესკო“-ზე წინასწარ გაფორმებული ელექტროენერჯიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით და ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, რის თაობაზეც კომპანია ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, ხოლო შემდგომ თითოეული საბალანსო წლის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, წერილობითი განაცხადით აცნობებს „ესკო“-ს შესაბამისი საბალანსო წლის განმავლობაში, ობიექტის მიერ გამომუშავებული სრული ელექტროენერჯიის „ესკო“-ზე გასაყიდ მოცულობას, შესაბამისი პერიოდების მითითებით. ამასთან, „ესკო“ იღებს ვალდებულებას, აღნიშნული 10 წლის განმავლობაში შეისყიდოს ობიექტის მიერ გამომუშავებული და ამ პუნქტის შესაბამისად კომპანიის მიერ წინასწარ გაცხადებული ელექტროენერჯიის რაოდენობა, ელექტროენერჯიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. „ესკო“-ს მიერ ამ პუნქტით და ელექტროენერჯიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი ელექტროენერჯიის ფასი თითოეული წლის ოქტომბრიდან მარტის თვის ჩათვლით განისაზღვრება 6,5 აშშ ცენტის ოდენობით, ხოლო აპრილიდან სექტემბრის თვის ჩათვლით 5 აშშ ცენტის ოდენობით. წინამდებარე 3.4 პუნქტით გათვალისწინებულ კომპანიის ვალდებულებაზე არ ვრცელდება ამ მემორანდუმის 3.6, 3.8 და 3.9 პუნქტების მოქმედება“.

2. მემორანდუმის სხვა მუხლები და დებულებები დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
5. ამ შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.
6. მხარეთა ხელმოწერები:


საქართველოს მთავრობა


  
კახა კალაძე

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“

  
ვაჰტანგ ამბოვაძე

შპს „ენერჯია“

  
გაიოზ უშველიძე



**საქართველოს მთავრობის  
განკარგულება**

**№54 2015 წლის 26 იანვარი ქ.თბილისი**

**საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის  
კომერციულ ოპერატორს“ და შპს „ენერჯიას“ შორის 2011 წლის 17 მაისს  
დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის  
თაობაზე**


1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და შპს „ენერჯიას“ შორის 2011 წლის 17 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე დასადები შეთანხმების პროექტი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ.

**პრემიერ-მინისტრი**



**ირაკლი ღარიბაშვილი**



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010156687307114

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge  
24 a, Gorgasli str., 0114, Tbilisi, Tel: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№10759

10 / დეკემბერი / 2014 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის  
მინისტრის მოადგილეს,  
ბატონ ირაკლი ხმალაძეს


ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2014 წლის 5 დეკემბრის №04/4498 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ენერჯიას“ შორის 2011 წლის 17 მაისს გაფორმებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი და გაცნობებთ, რომ მასთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გააქვს.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ალექსანდრე ბარამიძე



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი  
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2  
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia  
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

№ 01/1223

09 12 2014წ.

F018

თანხმობა ხელმოსაწერი  
ურთიერთგაგების შემორანდუმში  
ცვლილებების შეტანის თაობაზე  
შეთანხმების პროექტი

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის  
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმაღაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2014 წლის 05 დეკემბრის #04/4501 წერილის პასუხად გაცნობებთ რომ ბაზრის ოპერატორმა განიხილა საქართველოს მოავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და მას „ენერჯიას“-ს შორის 2011 წლის 17 მაისს გაფორმებულ ურთიერთგაგების შემორანდუმში („ლაოსი პესი“) ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვიჩნია.

პატივისცემით,  
გენერალური დირექტორი

ვ. ამბოკაძე

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“  
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 07.08.2006; საიდ. კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC  
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036